2 ივლისი, 2025 წ.

საჭიროებისამებრ წარსადგენად

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

შპს „ჯეი 1“ ს/ნ:405000207 წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით საგანელიძის მინდობილი პირის ილია ბაბუხადიას მიერ (პ/ნ: 60001146247) მიერ, აცხადებს, რომ წინამდებარე თანხმობის დანართ N1-ში ჩამოთვლილ უძრავ ნივთებზე, შპს „ჯეი 1“-ის მიმართ რეგისტრირებული ვალდებულებებით მესაკუთრეს არ ეზღუდება უძრავი ნივთის რომელიმე ფორმით განკარგვა (მათ შორის იჯარით გაცემა ან/და გაყიდვა) ან/და უფლებრივად დატვირთვა.

ამასთან, შპს „ჯეი 1“ წინასწარ აცხადებს თანხმობას ზემოაღნიშნულ ფართებთან დაკავშირებით, სამომავლოდ განსახორციელებელ ნებისმიერ რეგისტრაციაზე (მათ შორის, იჯარის უფლების წარმოშობაზე) რომელშიც აღნიშნული არ იქნება, რომ ფართის გამოყენება მოხდება დანართ N1-ში მითითებული ხელშეკრულების 9.1.2. და 9.1.3 პუნქტებით განსაზღვრული შეზღუდვებიდან რომელიმეთი.

დანართი N1

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი	უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული ვალდებულების რეგისტრაციის ნომერი	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი, რომლის საფუძველზეც დარეგისტრირდა ვალდებულება უძრავ ნივთზე
01.17.12.003.262.01.02.002	892024032832	15/07/2024
01.17.12.003.262.01.02.003	892023339588	01/12/2023
01.17.12.003.264.01.03.001	882025358775	31/03/2025
01.17.12.003.264.01.03.002	882025358075	31/03/2025

01.17.12.003.264.01.03.003	882025358076	31/03/2025
01.17.12.003.264.01.03.004	882025358078	31/03/2025
01.17.12.003.266.01.03.001	882025608464	29/05/2025
01.17.12.003.266.01.03.002	882025608465	29/05/2025

.

შპს „ჯეი 1“-ს დირექტორის მინდობილი პირი

ილია ბაბუხადია

Ilia Babukhadia 60001146247

Digitally signed by Ilia Babukhadia
Date: 2025.07.02 15:22:43

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

48350890053321

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210548195

რეგისტრაციის თარიღი

02.06.2021 წ

ნოტარიუსი: თამარ გეფერიძე
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას N76
ტელეფონი: 0322331867

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ორიათას ოცდაერთი წლის ორ ივნისს მე, ნოტარიუს თამარ გეფერიძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. №76-ში, მომმართა შპს <<ჯეი 1>>-ს (ს/კ 405000207) დირექტორმა დავით საგანელიძემ. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად დავით საგანელიძემ (დაბ. 01.10.1960წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, კოსტავას 75, ბინა 168, ბარათის №13IM92057, პირადი №01024006858, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 30.06.2015წ.) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ ქმედუნარიანობაში, უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ დავით საგანელიძემ ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

მე, შპს <<ჯეი 1>>-ს (ს/კ 405000207) დირექტორი დავით საგანელიძე (დაბ. 01.10.1960წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, კოსტავას 75, ბინა 168, ბარათის №13IM92057, პირადი №01024006858, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 30.06.2015წ.) ვენდობი, თინათინ რატიანს (პირადი: 01017008437), ნატალია კოპაძეს (პირადი: 01009006722), ფიქრია სეთურიძეს (პირადი: 31001041291) და ილია ბაბუხადიას (პირადი: 60001146247), მამუკა მირზიაშვილს (პირადი: 01024025897), ავთანდილ გეგენავას (პირადი: 39001037485), სოფიო ბერიშვილს (პირადი: 01008050958) და დავით საგანელიძეს (პირადი: 01024057422) მასზედ, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იყვნენ ჩემი, როგორც კომპანიის დირექტორის წარმომადგენლები საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, ხელი მოაწერონ საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის შესახებ წინასწარ ხელშეკრულებებს, საცხოვრებელ კომპლექსზე საავტორო უფლების დაცვისა და კომუნალური მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებს, უძრავი ქონების და უძრავ-მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებებს, ბე-ს ხელშეკრულებებს, უძრავი ქონების მფლობელობაში და საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტებს, ნივთობრივი ნაკლის არარსებობის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტებს, უძრავი ქონების სერვიტუტით დატვირთვის და/ან სერვიტუტის გაუქმების შესახებ ხელშეკრულებებს, მოთხოვნის დათმობის და მოთხოვნის ჩუქების შესახებ ხელშეკრულებებს, უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების ჩანაწერის წარმოშობის და/ან გაუქმების შესახებ ხელშეკრულებებს, უფლების წინასწარი ჩანაწერის წარმოშობის ან გაუქმების შესახებ ხელშეკრულებებს, იჯარის და/ან ქირავნობის ხელშეკრულებებს, ინვოისებს, ასევე იყვნენ კომპანიის სრულუფლებიანი წარმომადგენლები საქართველოს ნებისმიერი რეგიონის უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოში (მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს მისამართების რეესტრში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში) კომპანიის კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონების გასხვისება-შეძენისთვის საჭირო დოკუმენტების მოპოვებისას, გამიჯვნა/გაერთიანება/გამოყოფისას, უფლებრივად დატვირთვა/მოხსნისას ან გასხვისებული/შეძენილი უძრავ-მოძრავი ქონების რეგისტრაციისას, ასევე ქონებაზე იპოთეკის მოხსნის ან იპოთეკით დატვირთვისას, სერვიტუტით დატვირთვისას ან სერვიტუტის მოხსნისას, დაარეგისტრირონ ზ/აღნიშნული ხელშეკრულებები საჯარო რეესტრში, გადაიხადონ სახელმწიფო და სხვა გადასახადები, განახორციელონ ყველა აუცილებელი მოქმედება და ხელი მოაწერონ ყველა საჭირო საბუთს, რაც ამ დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

ასევე იყვნენ ჩემი, წარმომადგენლები საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, წარმოადგინონ და დაიცვან საზოგადოების ინტერესები სს „თელასში", შპს „ჯორჯიან

უოთერ ენდ ფაუერში" და შპს „თბილისი ენერჯიში", საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან ურთიერთობაში, შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, ხელი მოაწეროს ყველა დოკუმენტს რაც უკავშირდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან შპს "ჯეი I"-ის ურთიერთობას. ასევე იყვნენ ჩემი წარმომადგენლები ქ. თბილისის მერიის ნებისმიერ სამსახურში (მათ შორის და არამხოლოდ, არქიტექტურის, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის), მოითხოვონ და მიიღონ ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია და ინფორმაცია, როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით, შეიტანონ განცხადებები, ატვირთონ ვებ-გვერდზე: www.tas.ge ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია (მათ შორის საზოგადოების მიერ წარმოებული მშენებარე და/ან აშენებული საცხოვრებელი სახლების პროექტის კორექტირება/დამტკიცებასთან ან/და სხვა ცვლილებებთან დაკავშირებით), გადაიხადონ სახელმწიფო და სხვა გადასახადები, განახორციელონ ყველა აუცილებელი მოქმედება და ხელი მოაწერონ ყველა საჭირო საბუთს, რაც ამ დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

ასევე იყვნენ ჩემი სრულუფლებიანი წარმომადგენლები სს "საქართველოს ბანკთან" (ს/კ: 204378869), სს "თიბისი ბანკთან" (ს/კ: 204854595), სს „ტერაბანკთან" (ს/კ: 204546045) და ნებისმიერ ფიზიკურ პირთან. ხელი მოაწერონ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებას, თავდების განცხადებას, დააგირაონ, იპოთეკით დატვირთონ საზოგადოების საკუთრებაში არსებული ნებისმიერი აქტივი და ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას ვალდებულებათა თანხის ბლოკირებით უზრუნველყოფის შესახებ, ასევე ნებისმიერ სხვა დოკუმენტს, რომელიც მოთხოვნილი იქნება ზემოაღნიშნული კომერციული ბანკებიდან, როგორც ფიზიკური პირისთვის სესხის გაცემის წინაპირობა. ზემოხსენებული გარიგებების შინაარსი განსაზღვრონ საკუთარი სურვილისამებრ. დაარეგისტრირონ ზემოაღნიშნული დოკუმენტები საჯარო რეესტრში, გადაიხადონ სახელმწიფო და სხვა გადასახადები, განახორციელონ ყველა აუცილებელი მოქმედება და ხელი მოაწერონ ყველა საჭირო საბუთს, რაც ამ დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა გაცემულია 5 (ხუთი) წლის ვადით.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური, 10 ლარი (თანახამად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ. 1 ლარი და 80 თეთრი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): - სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

შპს <<ჯეი I>>-ს დირექტორი დავით საგანელიძე _____

ნოტარიუსი _____ თამარ გეფერიძე

საქართველო. ნოტარიუსი თამარ გეფერიძე GEORGIA. NOTARY TAMAR GEPERIDZE 01024032150